20410484
კონფიდენციალური
I კატეგორია
ეგზ. 1

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის

განკარგულება

30. 10. 2025 № 975-1

თბილისი

ინდივიდუალური მეწარმე „თამარა აბაშიძის“ (პ/ნ: 01019009601) ვალუტის გადამცვლელი პუნქტისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების თაობაზე

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, ამავე ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2012 წლის 7 თებერვლის №25/04 ბრძანებით დამტკიცებული „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ვალუტის გადამცვლელი პუნქტებისათვის ფულადი ჯარიმის ოდენობის განსაზღვრის, დაკისრებისა და აღსრულების წესის“ მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. ინდივიდუალური მეწარმე „თამარა აბაშიძის“ ვალუტის გადამცვლელ პუნქტს, „ვალუტის გადამცვლელი პუნქტების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისათვის გადაცემის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2012 წლის 18 იანვრის №1 ბრძანების მე-4 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დარღვევის გამო, დაეკისროს ფულადი ჯარიმა 2,000 (ორი ათასი) ლარის ოდენობით.
2. აღნიშნული თანხა გადახდილ უნდა იქნას სახელმწიფო ხაზინის ერთიან ანგარიშზე - TRESGE22, შემდეგი სახაზინო კოდით 302003260.
3. აღნიშნული განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
4. ამ განკარგულების იძულებით აღსასრულებლად მიქცევა განხორციელდეს ინდივიდუალური მეწარმე „თამარა აბაშიძის“ ვალუტის გადამცვლელი პუნქტისათვის განკარგულების გაცნობიდან 30 კალენდარული დღის ვადის გასვლის შემდეგ. აღნიშნული 30 კალენდარული დღის განმავლობაში ინდივიდუალური მეწარმე „თამარა აბაშიძის“ ვალუტის გადამცვლელი პუნქტი ვალდებულია გადაიხადოს ჯარიმა და გადახდიდან 2 სამუშაო დღის ვადაში, NBFI დისტანციური ზედამხედველობის პორტალის საშუალებით შეატყობინოს საქართველოს ეროვნულ ბანკს და ატვირთოს გადახდის დამადასტურებელი საგადახდო დავალების ასლი. NBFI დისტანციური ზედამხედველობის

პორტალის საშუალებით შეტყობინების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, დაკისრებული ფულადი ჯარიმა არ ჩაითვლება გადახდილად და განხორციელდება მისი იძულებით აღსასრულებლად მიქცევა. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს საქართველოს ეროვნული ბანკის არასაბანკო დაწესებულებების ზედამხედველობის დეპარტამენტს.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მხარისათვის გაცნობისთანავე.

ნათელა თურნავა